ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

წიგნიერების პრობლემა დღეს – სასწავლო–საგანმანათლებლო პროექტი „წიგნი სიყვარულია"

ნათია კალანდაძე
ქ.ქუთაისის №15 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ანოტაცია
ტექნოლოგიურმა წინსვლამ განსაკუთრებით იმოქმედა ადამიანის ფსიქო–ემოციურ სამყაროზე, ინფორმაციის მოზღვავებამ, დიდმა ნაკადმა თავისი გავლენა მოახდინა მის ბიოლოგიურ განვითარებაზე. მაქსიმალურად მიეჯაჭვა კომპიუტერს და ვერ აცნობიერებს თუ რა სწრაფად გადის დრო, არ შეუძლია დაგეგმოს სწორად, მაქსიმალურად გამოიყენოს რესურსი და სწორი იყოს დროის მენეჯმენტი. იქნებ დადგა დრო უფრო მეტად და ახლოს მივიდეთ ახალ თაობასთან, სწორედ წიგნის მეშვეობით, მისი როლი გავხადოთ ღირებული და მნიშვნელლოვანი. გახდეს წიგნი მედიატორი ძველსა და ახალ თაობას შორის, მოვძებნოთ დიალოგის გზა, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ მათ გაგებას, რაც ვფიქრობ ერთობ რთული საქმეა.

პროექტის განხორციელება 2014 წლის 14 თებერვალს დავიწყეთ. მენეჯერებთან, კონსულტანტებთან, კოორდინატორებთან, პედაგოგებთან და დირექტორებთან ერთად უპირველესი ადგილი მოსწავლეებმა დაიკავეს. ეს უკვე უმნიშვნელოვანესი პირველი ნაბიჯები იყო, მათ იგრძვნეს თუ რამდენად მნიშვნელოვან ძალას ფლობენ საზოგადოებაში.მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავე თითოეული დეტალი, ისინი უშუალოდ, პედაგოგებთან თანამშრომლობით ადგენდნენ სამოქმედო გეგმას.ამ პროექტში საწყის ეტაპზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 14 სკოლა არის ჩართული, ვფიქრობ იმ ერთსულოვნებით, რაც თითოეულ მონაწილეს აქვს ხელს შეგვიწყობს შედეგზე გავიდეთ.პროექტი ხორციელდება მოხალისეობრივ საწყისებზე, ამ ეტაპზე მას არ ჰყავს დამფინანსებელი.

პროექტის ბლოგი ძველი http://debatklubigirseba.blogspot.com/2014/02/140214_15.html
ახალი: http://wignisiyvarulia.blogspot.com/

საკვანძო სიტყვები: *სამყაროს შეცნობა , ტექნიკა, კომუნიკაცია*

„წიგნიერება განისაზღვრება როგორც საზოგადოების მიერ ღირებულად მიჩნეული და / ან ინდივიდისათვის ფასეული წერილობითი ენობრივი ფორმების გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობა" (გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ანგარიში).

გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2006 წელს საქართველო საერთაშორისო საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაციის (PIRLS) კვლევაში ჩაერთო, სადაც მონაწილეობა მიიღო 45 ქვეყანამ. ის 5 წელიწადში ერთხელ ტარდება და მიზნად ისახავს სწავლების დონის ამაღლების გზების ძიებას. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ამ მიზნით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს სკოლის მოსწავლეების შედეგები საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.საქართველოზე დაბალი შედეგები აქვთ ისეთ ქვეყნებს როგორიცაა: მაროკო, ქუვეითი, სამხრეთ აფრიკა და სხვა. მოზარდთა წიგნიერების დაბალი დონე თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელვანესი პრობლემაა. ეს საკითხი,

ISSN 1512-1801

კაცობიობისთვის უაღრესად მტკივნეული და ამაღელვებელი, საქართველოში განსაკუთრებით საგანგაშო და შემაშფოთებელია.

სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება მოზარდისათვის სწავლაა. რას და როგორ სწავლობენ მოზარდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში? რამდენად და როგორ ესმით ის, რასაც კითხულობენ? რა უწყობს ხელს და, პირიქით, რა აფერხებს ამა თუ იმ ქვეყანაში სწავლისა და სწავლების პროცესს?ამ არცთუ მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობს საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც 1959 წლიდან მსოფლიოს 70-მდე ქვეყნაში აწარმოებს შედარებით კვლევებს.საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელ მსოფლიოში. იგი საშუალებას აძლევს მონაწილე ქვეყნებს, შეადარონ მოსწავლეთა მიღწევების დონე საერთაშორისო სტანდარტებს, გააანალიზონ, თუ რა ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პოლიტიკა, სასწავლო გეგმები, სწავლების მეთოდიკა თუ საგანმანათლებლო რესურსები მოსწავლეთა მიღწევებზე; ამასთან, მკაფიოდ ავლენს ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ხარვეზებს და კარგ საფუძველს ქმნის იმის გადასაწყვეტად, რა და რატომ არის შესაცვლელი თუ დასახვეწი სწავლების პროცესში.(http://www.naec.ge/saerthashoriso-kvlevebi-da-shefaseba/tsignebis-saerthashoriso-kvleva.html?lang=ka-GE)

გარდა მოსწავლეებისა, საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობენ კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა პედაგოგები, სკოლის დირექტორები და მშობლები. მათგან მიღებული ინფორმაცია გვეხმარება, გავაანალიზოთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.

ტექნიკის განვითარებამ, ადამიანთა ცხოვრებაში კომპიუტერის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად გაანელა ინტერესი წიგნის მიმართ. არავისთვის არის საიდუმლო, რომ მოზარდები წიგნებს აღარ კითხულობენ. ამ მხრივ ახალი თაობა (გარდა მცირე გამონაკლისისა) საგრძნობლად განსხვავდება ძველისაგან.

მოზარდთა ცხოვრებაში კომპიუტერის დიდი როლის უარყოფა შეუძლებელია. თანამედროვე ახალგაზრდების ყოველდღიურობაში იგი მყარად დამკვიდრდა. წარმოუდგენელია, მოსწავლეს ცოდნის შეძენა სურდეს და კომპიუტერის გამოყენება არ შეეძლოს. თუმცა უნდა ღინიშნოს ისიც, რომ მაგრამ კომპიუტერი უწიგნობით გაჩენილ სიცარიელეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამოავსებს. წიგნით შეძენილი ცოდნა ღრმაა და საფუძვლიანი, მისით მიღებული შთაბეჭდილება –დაუვიწყარი, სიბრძნე – დამაფიქრებელი, გასათვალისწინებელი; მხატვრული სამყაროს წვდომა – ესტეთიკური სიამოვნების მომნიჭებელი, ამეღელვებელი.

მხოლოდ მასწავლებელთა კომპეტენციაზე ზრუნვა, საუნივერსიტეტო განათლებაში დამატებითი კომპონენტების შეტანა და პროფესიული განვითარება არ არის საკმარისი, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა წიგნიერების ისეთივე მაღალი დონე აჩვენონ, როგორიც მათმა ფინელმა ან გერმანელმა თანატოლებმა. როგორც კვლევამ აჩვენა, მოსწავლის წიგნიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორი. ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის კავშირი მოსწავლის მოსწრებასთან ერთგვარი

ISSN 1512-1801

ჩაკეტილი წრეა. თუ მშობლები მუშაობენ და სოციალურად და ეკონომიკურად გამართულები არიან, მათი შვილებიც მაღალ შედეგებს აჩვენებენ, ხოლო თუ მშობლებს ფინანსურად უჭირთ, წიგნიერების თვალსაზრისით უჭირთ მათ შვილებსაც. ეს ტენდენცია შიშის მომგვრელია იმ თვალსაზრისითაც, რომ წარმოშობს რისკს, მომავალში ისევ შეძლებული ოჯახის შვილები იყვნენ წიგნიერები, ხელმოკლე ოჯახებისა კი - პირიქით. აქ განათლების სამინისტროს ძალისხმევა არ არის საკმარისი. თუ სახელმწიფომ პრიორიტეტად არ მიიჩნია განათლებისა და საგანამათლებლო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის, ეკონომიკურად დაჩაგრულები ისევ ყურადღების მიღმა დარჩებიან. (http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=231)

ერთ–ერთი ახალგაზრდა თავის ბლოგზე წერს:,,რატომ არ ვკითხულობთ წიგნებს?**რატომ მივეჯაჭვეთ კომპიუტერებს და წიგნისკენ გახედვაც არ გვინდა? რატომ გვანან ახლანდელი ბავშები რობოტებს ?** იცით, რობოტებს მაშინ დაემსგავა ახალგაზრდა თაობა როცა სკოლაში ლექსების დაზუთხვა მოთხოვეს და საპატიო სტუმარს იმითი უმასპინძლებოდდნენ, რომ სტრიქონები რაც შეიძლება გამოთქმით და გრძნობით წაეკითხათ როცა ამ ლექსის დამწერი ძალიან *უბრალოდ, მაგრამ აზრიანად* ამბობდა ყოველივეს, ბავშები კი ერთ სიტყვას თუ აურევენ მერე ვეღარ იხსენებენ გაგრძელებას.კომპიუტერს იმიტო მივეჯაჭვეთ რომ იქ მეტი ინფორმაციაა, ჩვენთვის სასარგებლო (http://leblogdemarita.com). უნდა ვაღიაროთ, რომ ტექნოლოგიურმა წინსვლამ განსაკუთრებით იმოქმედა ადამიანის ფსიქო–ემოციურ სამყაროზე, ინფორმაციის მოზღვავებამ, დიდმა ნაკადმა თავისი გავლენა მოახდინა მის ბიოლოგიურ განვითარებაზე. მაქსიმალურად მიეჯაჭვა კომპიუტერს და ვერ აცნობიერებს თუ რა სწრაფად გადის დრო, არ შეუძლია დაგეგმოს სწორად, მაქსიმალურად გამოიყენოს რესურსი და სწორი იყოს დროის მენეჯმენტი. როგორც ეს ახლაგაზრდა წერს;,,კომპიუტერს იმიტომ მივეჯაჭვეთ რომ იქ მეტი ინფორმაციაა, ჩვენთვის სასარგებლო". იქნებ დადგა დრო უფრო მეტად და ახლოს მივიდეთ ახალ თაობასთან, სწორედ წიგნის მეშვეობით, მისი როლი გავხადოთ ღირებული და მნიშვნელლოვანი. გახდეს წიგნი მედიატორი ძველსა და ახალ თაობას შორის, მოვძებნოთ დიალოგის გზა, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ მათ გაგებას, რაც ვფიქრობ ერთობ რთული საქმეა.

ამ თაობებისთვის მაქსიმალურად დამახასიათებელია აგრესიულობა, სამაგიეროს გადახდის მენტალიტეტი. სამწუხარო რეალობაა, რომ თანდათან უფრო ცივი და ნაკლებად მეგობრულები არიან, ამ თაობას ყველაზე მეტად უჭირს გაგება იმისა, თუ რა არის ჯანსაღი კონკურენცია; თუმცა ჩვენ აქ ვაწყდებით გზაჯვარედინს, გადაკვეთის წერტილს, როგორ უნდა ასწავლო ახალს თუ ძველმა თაობამ ვერ მოახერხა ეს? როცა ისინი აშკარად უყურებენ დაპირისპირებას, ძალიან ხშირად უნდობლობას და ხედავენ ადამიანის ორმაგ სახეს, ნიღაბს, რომლის აღქმა ახალგაზრდისთვის მეტად მწარე და მტკივნეული რეალობაა. სწორედ აღზრდის აღმოცენებასა და მის განვითარებას განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების დონე და მოთხოვნილებები.აღზრდა ყოველთვის განსაზღვრულია საზოგადოების პოლიტიკურ–ეკონომიკური წყობით, ფორმაციით. როგორიცაა საზოგადოება, ისეთია აღზრდა, სწორედ საზოგადოება განსაზღვრავს აღზრდის მიზანს, ანუ როგორი მოქალაქე სურს მას რომ გაზარდოს, რა

ISSN 1512-1801

მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი.საზოგადოება არა მხოლოდ განსაზღვრავს აღზრდის მიზანს, არამედ ახორციელებს კიდეც ამ მიზანს, ვინაიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები სახელმწიფოს სტრუქტურული ერთეულებია, სწორედ ამ ორგანოების მეშვეობით ხდება სასწავლო–საგანმანათლებლო პროცესების (ანუ აღზრდის რეგულირება და მართვა. თითოეულ ამ მიმართულებაზე გასვლა სწორედ წიგნის სიყვარულით შეიძლება.(ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი, 2012 წ.)

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ როგორც კვლევამ აჩვენა, მოსწავლის წიგნიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორი. ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის კავშირი მოსწავლის მოსწრებასთან ერთგვარი ჩაკეტილი წრეა. თუ მშობლები მუშაობენ და სოციალურად და ეკონომიკურად გამართულები არიან, მათი შვილებიც მაღალ შედეგებს აჩვენებენ, ხოლო თუ მშობლებს ფინანსურად უჭირთ, წიგნიერების თვალსაზრისით უჭირთ მათ შვილებსაც. ეს ტენდენცია შიშის მომგვრელია იმ თვალსაზრისითაც, რომ წარმოშობს რისკს, მომავალში ისევ შეძლებული ოჯახის შვილები იყვნენ წიგნიერები, ხელმოკლე ოჯახებისა კი - პირიქით. აქ განათლების სამინისტროს ძალისხმევა არ არის საკმარისი. თუ სახელმწიფომ პრიორიტეტად არ მიიჩნია განათლებისა და საგანამათლებლო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის, ეკონომიკურად დაჩაგრულები ისევ ყურადღების მიღმა დარჩებიან.

თუ სახელმწიფომ ეს საკითხი პრიორიტეტად დასახა და სათანადო ღონისძიებები გაატარა, ადვილი შესაძლებელია, წიგნიერების პრობლემა მოგვარდეს და მომავალი კვლევის შედეგები დღევანდელზე გაცილებით უკეთესი იყოს, თუმცა ჩვენი მთავარი მიზანი ის როდია, მომავალ საერთაშორისო კვლევაში რამდენიმე ხაზით წავიწიოთ წინ, საშუალო მაჩვენებლისაკენ - წიგნიერების განვითარებაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული, რამდენად კონკურენტუნარიანები იქნებიან ჩვენი შვილები, რას მიაღწევენ ისინი ხვალ, ან თუნდაც ის, როგორი იქნება ჩვენი სიბერე რამდენიმე წელიწადში.ბევრი რამ არის გასაკეთებელი მშობელთა ინფორმირებისთვის. რა მოვუხერხოთ მათ, ვისთვისაც შვილების სწავლა არ არის მთავარი პრიორიტეტი? მშობლების უმეტესობა ძალიან კონსერვატიულია. მათ თავისებური წარმოდგენა აქვთ როგორც სკოლის, ასევე წიგნიერების შესახებ. რეალურად რა არის წიგნიერება დღეს და რა უნარებს უნდა ფლობდეს მათი შვილი წარმატებისთვის, მრავალმა მათგანმა, უბრალოდ, არ იცის. (http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=231)

მას შემდეგ რაც 2014 წელი წიგნს მიუძღვნეს გამიჩნდა იდეა, რომელიც დაუკავშირდებოდა კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შექმნილ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას–წიგნს. პირველი სიტყვა, რაც გონებამ მას მიუსადაგა იყო სიყვარული ,,წიგნი სიყვარულია!" ასე დავარქვი პროექტს, რომელიც ჩემს მოსწავლეებისა და საზოგადოებაზე დაკვირვების, გაანალიზების, მრავალჯერ მსჯელობის შემდეგ დაიბადა. სიყვარული, მეგობრობა, ადამიანობა, ზნეობა, მორალი– ყველა ერთ ძირითადში არის განივთებული, რომელსაც ადამიანური, ზოგადკაცობრიული ღირებულებები ჰქვია. პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად შემინიშნავს, რომ ეს თაობა მაქსიმალურად განსხვავდება ჩემი თაობისაგან.

ISSN 1512-1801

ვცდილობდი ხშირად დასმული კითხვებისთვის პასუხი მომეძებნა და გამეცა: რატომ არიან ასეთი აგრესიულები? თავის თავში ჩაკეტილები? პირდაპირი კითხვები მათთვის მიუღებელია, ძალიან ფაქიზები არიან, იმდენად, რომ ხელის ერთი არასწორი შეხება და სამუდამოდ დაკეტავენ მათკენ მიმავალ გზას.ძიების, კვლევის პროცესმა ამ პროექტის ჩამოყალიბებისა და განხორციელების მომენტამდე მიმიყვანა. ყველაზე მთვარი მიზანად აქ წიგნისადმი სიყვარულის გაღვივება მივიჩნიე, მისადმი ინტერესის გაზრდა, მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება. წიგნის როლის ზრდისთვის ხელშეწყობა, სიყვარულის გაღვივება და განცდა, რომ წიგნი ცხოვრებას გვასწავლის.

პროექტის განხორციელება 2014 წლის 14 თებერვალს დავიწყეთ. მენეჯერებთან, კონსულტანტებთან,კოორდინატორებთან, პედაგოგებთან და დირექტორებთან ერთად უპირველესი ადგილი მოსწავლეებმა დაიკავეს. ეს უკვე უმნიშვნელოვანესი პირველი ნაბიჯები იყო, მათ იგრძვნეს თუ რამდენად მნიშვნელოვან ძალას ფლობენ საზოგადოებაში.მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავე თითოეული დეტალი, ისინი უშუალოდ, პედაგოგებთან თანამშრომლობით ადგენდნენ სამოქმედო გეგმას.

1. პროექტში მონაწილეობის მისაღებად მონაწილე სკოლებმა ელ.ფოსტაზე უნდა გადმოაგზავნონ სკოლის თანხმობის ფურცელი (დასკანერებული)
2. პროექტის ელ.ფოსტა: wignisiyvarulia@gmail.com
3. მონაწილე სკოლის წარმომადგენლები (კოორდინატორები) პროექტში: ორი პედაგოგი და ერთი მოსწავლე
4. პროექტში მონაწილე მოსწავლეების სია, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა
5. ,,წიგნი სიყვარულია" პროექტის პრეზენტაცია (ფოტო მასალა, ვიდეო–მასალა 5 წთ,აუცილებლად უნდა იქნეს დაცული პროექტის საავტორო უფლება)
6. პროექტის ბლოგი ძველი http://debatklubigirseba.blogspot.com/2014/02/140214_15.html ახალი: http://wignisiyvarulia.blogspot.com/
7. თითოეულ შეხვედრაზე მოსწავლეებმა და დამსწრე პირებმა აუცილებლად უნდა გაიარონ რეგისტრაცია.
8. რეგისტრაციის ფურცელი დასკანერებული, ფოტო–მასალა, ვიდეო (5 წთ) , შეხვედრის ანგარიში ხელმოწერით (კოორდინატორი პედაგოგები და ერთი მოსწავლე) უნდა გადმოაგზავნონ ელ–ფოსტაზე.

საპროექტო ჯგუფმა მონაწილე სკოლებს საშუალება მისცა იმისა, რომ გარდა დაგეგმილი აქტივობებისა პროექტის ფარგლებში თავიანთ სკოლაში საზოგადოებასთან ერთად განახორციელონ დამატებითი აქტივობები.ამჟამად პროექტში ჩართულია 14 სკოლა. პროექტს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ჰყავს თავისი წარმომადგენელი, მენეჯერი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პროექტის განხორციელებას. მოსწავლეებთან შეხვედრის დროს, სტუმრებმა, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მათი განწყობა, რაც ვფიქრობ ამ ეტაპზე ნამდვილად ჩანს. ყურადღება და ინტერესი საკმაოდ დიდია. მთავარია შევინარჩუნოთ დადებითი მუხტი, რომელიც ამ ეტაპზე ნამდვილად ჩანს. ჩვენი პროექტი ორიენტირებულია, რათა მოსწავლემ მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი ძალების რეალიზება და შეიძინოს შემდეგი კომპეტენციები:

ISSN 1512-1801

- თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განხორციელებისთვის;
- კომუნიკაციის კომპეტენცია კონტაქტების დამყარებისთვის, პროექტში საერთო განსჯისა და მუშაობისთვის;
- ორგანიზაციის კომპეტენცია, რომელიც მას გამოადგება პროექტის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში;
- პროდუქციის შექმნის კომპეტენცია, რაც მას გამოადგება ტექსტების, ვიდეოების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდების და სხვათა მოსამზადებლად;
- ცოდნის ტრანსფერი - ერთ სიტუაციაში ნასწავლის, სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებლობის კომპეტენცია;
- თვითშეფასების კომპეტენცია, რაც ნიშნავს თვითდამკვიდრების, თვითრეფლექსიის უნარს და მოსწავლეთა დამოუკიდებლობას;
- პრეზენტაციის კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია პროდუქტის პლენუმზე ან სულაც საზოგადოების წინაშე წარსადგენად

გეოგრაფიის პედაგოგი ქ.ქუთაისის N23 საჯარო სკოლაში და პროექტის მენეჯერი დასავლეთ საქართველოში: შორენა ტყემალაძე

21-ე საუკუნის საგანმანათლებლო სივრცეში მთავარ სასიცოცხლო ფიგურად თითოეული მოსწავლეა, რომლის ინდივიდუალიზმის ძიება შემეცნებით ლაბირინთში პედაგოგის მთავარი გამოწვევაა. სწორედ ამიტომაც უპირველესი ნაბიჯები მოსწავლეთა საჭიროებების დადგენაა, შემდეგ კი მასწავლებლის, ყოველივე ამის შემდეგ კი იკვრება უხილავი ცოცხალი სივრცე მოსწავლეს მასწავლებელსა და მათ საჭიროებას შორის. სკოლათაშორის პროექტ ,,წიგნი სიყვარულია"-ს დაბადებაც სწორედ ამ გზების პერმანენტული გავლის შემდეგ მოხდა. მიზნობრივმა საჭიროებებმა განსაზღვრა მოსწავლეზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმის შედგენაც. ,,წიგნი ჩემთვის სრულიად უცხო სამყაროა,სადაც უამრავი დაბრკოლება და გამოწვევაა, მე სწორედ ეს მიზიდავს მიყვარს რისკი და მზად ვარ ყოველთვის წიგნის უსასრულობაში გადავეშვა...დავიკარგო თუნდაც უგზო-უკვლოდ და ამ ლაბირინთებიდან მივიღო ის ცოდნა, რომელიც მჭირდება"-ამბობს ერთ-ერთი მოსწავლე პროექტამდე დიაგნოსტიკურ გამოკითხვაზე. ამიტომ ეს პროექტიც მისთვის ინოვაციური გამოწვევაა და დიდი სიამოვნებით ერთვება. ,,ჩემთვის ეფექტური კომუნიკაციების მომტანია,გამოცდილების გაზიარების არაჩვეულებრივი შანსი.სიმართლე გითხრათ წიგნის კითხვისთვის დრო არ მრჩება,აქ კი პროექტის მიმდინარეობა ამ დანაკლისს შემივსებს" ამბობს თეკლა (N23 მეშვიდე კლასი) ,,მე კი წიგნის ფურცლებზე გაცოცხლებული სურათებით, მათი შეფასებით ეფექტური მომავლის მიზნობრივ დაგეგმვას მოვახდენ და ამაში დამეხმარება წიგნი"-ამბობს მარი(8 კლასი)

,,წიგნი ყველაფერია, ჩვენ კი არაფერი ,ის სავსე ჭურჭელია ,ჩვენ კი ცარიელი.ამის შემდეგ კი არჩევანი შენზეა გონიერო არსება ადამიანო"-ასეთი შთამბეჭდავი სიტყვებით შეამკო პროექტის დასაწყისი ბექა ნაცვლიშვილმა.

ISSN 1512-1801

თქვენ ხედავთ 3 არაჩვეულებრივ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ არგუმენტს წიგნისა და პროექტის არსებობის აუცილებლობაზე, რომელთა ხედვა ერთი გზით მიდის წიგნის აუცილებლობა საკუთარი თვითმყოფადობის დამკვიდრებისთვის. თუმცა ხშირად მსგავს წამოწყებებში ჩნდება თითქოსდა გაურკვეველი წარმოშობის კითხვა-რას მომცემს ეს პროექტი? სწორედ ამიტომ აუცილებელია ჩემი აზრით, ყველა განმანათლებელი და არაგანმანათლებელი, კარგად იცნობდეს ინიციატივობების შესაბამისობას გარკვეულ სტანდარტებთან. სწორედ აქ კიდევ ერთხელ მყარად და არგუმენტირებულად ჩანს პროექტის მიზანი,მოსალოდნელი შედეგები,აქტუალურობა და მდგარდობა.

განათლების მდგარადი განვითარება-განათლების 4 კომპეტენცია:

1.ვსწავლობ რომ ვიცოდე-თიკო აბდალაძე-აქ ჩანს მოსწავლის ცოდნის მიღების სურვილი საკუთარი ინდივიდუალური სტილიდან.

2.ვსწავლობ რომ ვაკეთებდე-მარი ჩხეიძე-ის მონაწილეა ამ პროექტის ,რადგან ეფექტური მომავლის საწყისებს,მიზნობრივი გეგმის სექმნის პოტენციალს აქ ხედავს დისკუსიებსა და დებატებში.

3.ვსწავლობ თანაცხოვრებისთვის-თეკლა დეისაძე ,მას პროექტი ,,წიგნი სიყვარულია"საკომუნიკაციო სივრცეს გაუზრდის,ეს კი სხვასხვა პრობლემების დაძლევასი დაეხმარება

4.ვსწავლობ რომ ვიყო-ბექა ნაცვლიშვილი მან აქედანვე კარგად და გააზრებულად იცის,რომ წიგნია ცხოვრების არსი.ის სწავლობს ამას, რომ იყოს და იარსებოს ფურცლის ჰაერით.თუმცა არის კიდევ მათ საფუძველზე აღმოცენებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

ვნახოთ რამდენად მომცველობითი კავშირებია პროექტსა და მას შორის

ა.ქვეყნის ინტერესები,ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება

პროექტის უპირველესი თხოვნაა მშობლიური საგანძურის სიამაყით დავიწყოთ ეს კეთილი საქმე. სწორედ ამიტომ განა, რომელი ქართველი მწერალი გაუძლებს საქართველოს მიწა-წყლის სილამაზეზე, ტრადიციასა და კულტურაზე გვერდის ავლას, მათ დაცვასა და მოვლა -პატრონობაზე.

ბ.ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება სწორედ ამიტომაც ყოველივე ზემოთ აღნიშნული,ასევე განათლების მეორე მიზნის მომცველიცაა.

გ.ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება

პროექტის დასაწყისში შემუშავებულ წესდებაში ერთ-ერტი პუნქტი სწორედ ესაა-წაიკითხე მრავალფეროვანი სპექტრითა და საშუალებებით.ფორმატი მისაღებია ბიბლიოთეკა,სამკითხველო და ელექტრონული ბიბლიოთეკა.

დ.დამოუკიდებლად ცხოვრება--აღარ გავნვმეორდები ერთ-ერთი მოსწავლე ზემოთ აღნიშნავს რომ ის ამ წიგნებით საკუთარ მომავალს დაგეგმავს.

ე.იყოს შემოქმედი,თავად შექმნას ღირებულებეი და არ იცხოვრიოს მხოლოდ არსებულის ხარჯზე.

როცა მოსწავლე ამ პროექტშია და საკმაო დროის განმავლობაში მსმენელი და მონაწილეა, მაშინ ერთ დღესაც მას უკვე დაგროვილი ლექსიკური მარაგისა და

ISSN 1512-1801

სააზროვნო უნარ-ჩვევების წყალობით დაებადება აზრი,გაუჩნდება შანსი შემოქმედებითი ღირებულებების შექმნისა.

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება,როგორც ქვეყნის შიგნით,ისე მის საზღვრებს გარეთ.

პროექტებით სწავლების ფორმტში, კიდევ ერთხელ გააზრებულად ხდება აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ, ფოკუსირებული ინტერესის პრიორიტეტულად განვითარება და საკუთარი რესურსების პროექტისთვის საყავარელი საქმის კეთებით მაქსიმალური რეალიზება

ზ)კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან

მოსწავლეთა ინტერესთა თანხვედრის შედეგად ჩამოყალიბებული ადგილობრივი სასკოლო სივრცე, მეგობარი სკოლები და პროექტის გეგმით მოწვეული საპატიო სტუმრები, ქმნის საკომუნიკაციო ეფექტურ ქსელს ინდივიდებთან და ჯგუფებთან.

თ) იყოს კანონმორჩილი და ტოლერანტი

ამბობენ წიგნი დაუწერელი და დაწერილი კანონების დედამშობელიაო,სადაც თანასწორობა გვაერთიანებს ყველას. სწორედ ეს პროექტი გააცნობს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიებს.

შესაბამისობა ე.ს.გ გამჭოლ კომპეტენციებთან

წიგნიერება-საჭირო ინფორმაციის მიღება,გადახარისხება და საკუთარ რეალობისთვის დატოვება.

მედიაწიგნიერება-წიგნის დისკუსია განავითარებს საკუთრივ კრიტიკულ აზროვნებას

ციფრული წიგნიერება-ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა

ეკოლოგიური წიგნიერება- წიგნის სიყვარული და მისი წარმოშობის ისტორია, კიდევ ერთხელ დააფიქრებს მოსწავლეებს გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპებზე.

სემიოტიკური კომპეტენცია-პროექტის ფარგლებში იქმნება მიღებული პროდუქტული ინფორმაციის გადატანა სხვა ფორმატში.მაგ: დისკუსიის არგუმენტებით იქმნება პროექტის საარქივო ზონისათვის კედლის გაზეთები, ბროშურები, პოსტერები, ბლოგი და.ა.შ.

სწავლის სწავლა-მრავალმხრივი სამუშაოები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას მოხდინონ საკუთარი ინტერესების, სწავლის, მისწრაფებების თვითრეგულაცია. მრავალმხრივი გამოწვევები და აქტიური ჩართულობა ადასტურებს კიდევ ერთხელ მათ შესაძლებლობებს და ეტაპობრივად ხდება თვიშეფასების ამაღლება.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია-მუშაობის პროცესსი და აქტიური სეხვედრებით კიდევ ერთხელ რწმუნდებიან თუ რას ნიშნავს წიგნი დემოკრატიული სახელმწიფოსა და აქტიური მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად.

აქ წარმოდგენილი მიმდინარე ანგარიში, მოხალისეობრივ საწყისებზე განხორციელებული თითოეული პიროვნების აქტივობა და როლი კიდევ ერთხელ მაძლევს დაფიქრებისა და გაანალიზების საშუალებას, ვიზრუნო პროექტის მდგრადობასა და განვითარებაზე.

<u>**გამოყენებული ლიტერატურა:**</u>

ISSN 1512-1801

1. ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი, 2012 წ.)
2. *თერნებულიჯ., პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი; თბილისი, 2009, პირველი ქართული გამოცემა, ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ცენტრი"*
3. И.Ю. Малкова ,МЕТОД ПРОЕКТОВ, Методические материалы,Томск2006 http://www.edutopia.org/project-learning-schools-rally-together
4. მეთოდი, ტექნიკა პროექტის მნიშვნელობაზე განათლებაში. Robert T .Hovell. Fort Hays სახელმწიფო უნივერსიტეტი http://scholar.lib.vt.edu/ejournals/JITE/v40n3/howell.html)
5. პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია–წიგნიერება, 2012 სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
6. http://www.naec.ge/saerthashoriso-kvlevebi-da-shefaseba/tsignebis-saerthashoriso-kvleva.html?lang=ka-GE)
7. http://leblogdemarita.com)
8. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=231)
9. http://wignisiyvarulia.blogspot.com/
10. ,,საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის– ევროპული ჩარჩო" –ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები; თბილისი 2006, გამოცემულია ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის (CTC) მიერ.